

გაზეთის ფასი:

გაზეთით ტფილისში	მათი წლისა	7 მან.
და გარეშე ადგილებში:	10-ის თვისა	6 —
მათი წლისა	ნახევრის წლისა	4 —
სამის თვისა		2 — 50 კ.

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შუბრი.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკოსი-ლის და კამპ: სტამბაში, შალაგინის პროსპექტზედ, პ. ზუბოლოვის სახლში. —
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисе. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძანის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ:

საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

ჩამოშორებისა.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბრუნება შეიძლება პირველისავე ნუმრითა.

ამ ნუმრებში არის: მმართველობის განკარგულება. ბრძანება ძაქვისის ნამესტნიკის სამმართველოში. — ძაქვისის სასწავლებლის დაფუძნება მცხეთას. — პოლიტიკა. ამერიკა: მონაობის გაუქმება შვედეთის შტატებში. — ნეგრების მდგომარეობა. — მანთავისუფლების მოწვევის ბიურო. — მოხსენება შუბრის სახმრეთის შტატების მდგომარეობაზედ. — სილარის ბე სამხრეთის შტატებში. — ტელეგრაფები. — ტფილისის დოლი 10-ს აპრილს. ხალხის განათლება ამერიკაში. — საკვირველი მოვლენა. — სახაზინო განცხადება. —

მმართველობის განკარგულება.

ბრძანება ძაქვისის ნამესტნიკის სამმართველოში. 18 მარტს 1866 წელს, ტფილისში. დაინიშნება: მუთისის გიმნაზიის უფროსი მასწავლებელი, კოლლეჯის ასესორი ლობროვოლსკი მუთისის გუბერნიის სტატისტიკურის კომიტეტის წევრთა რედაქტორათ. — მანამდღამდე დამდიცდება: ტფილისის პალატის უგოლოვინის და სამოქალაქოს სამჯავროს სოვეტნიკათ აღმასრულებელი ამ თანამდებობისა კოლლეჯის ასესორი სმიტტენი (6-ს მარტადამ). ძაქვისის ნამესტნიკის უმათერისის სამმართველოს საზოგადო საქმეების დეპარტამენტის დირექტორი, დეისტიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბარანოვსკი დაიხორციელა ორის თვით, ჯამაგირით, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა იმპერიის ქალაქებში და აგრეთვე საზღვარს გარეთაც.

„საქართველოს მხარებელში“, ამ წლის მარტის წიგნში სწერენ: უწმინდესმა და უმმართველესმა სინოდმა ამ წლის 4 იანვარს დაამტკიცა საქართველოს ექსარხოსის წარდგინება მცხეთის დღდათ მონასტერში სასწავლებლის დაფუძნებაზედ სა-

ქართველოს სასულიერო წოდების ქალების გასაზღვრად. ამ სასწავლებლის უსტავი ანუ ქალების მიზარების და მიღების წესი იმვე ყურნალშია დაბეჭდილი რუსულად. მოსწავლეთათვის არის დადებული მხოლოდ ოცი ვაკანსია, რომლითაც შეუძლიანთ ისარგებლონ მარტო ღირისის დედ-მამის ქალებმა.

პოლიტიკა.

ამერიკა (*).

მონაობის გაუქმება შვედეთის შტატებში. ამერიკის გაზეთებში დაბეჭდილია შემდგომი დოკუმენტი მონაობის გაუქმებაზედ შვედეთის შტატებში. „მილიამ სუარტი, შვედეთის შტატების სახელმწიფო სეკრეტარი. საღამო ყოველთა აწ მყოფთა და მომავალთა. გაუქმებით, რომ რესპუბლიკის კონგრესმა 1-ს თებერვალს დასდო რეზოლუცია მონაობის გაუქმებაზედ. ამ რეზოლუციის თანახმა არის შტატების სამი მეოთხედი რიცხვი და მასა სადამე თვით ჩვენი კონსტიტუციის მუხლიც იმ საგანზედ ასე უნდა შეიცვალოს: I. მონაობა არ უნდა

(*). შვედეთის შტატები მდებარეობენ ჩრდილოეთის მხრით ამერიკაში, რომელიც პირველათ იპოვეს ევროპელებმა მეზობელ მთხუთხუთე საუკუნეში და ამისთვის იმას უწოდეს ახალი მქვეანა. იმავე საუკუნიდან იმ ქვეანაში დაიწყო მოსახლეობა სხვა და სხვა მხარის ევროპელებმა. ჩრდილოეთის ამერიკაში დაეყარნენ ანგლიელები, რომელთაც გააშენეს ქალაქები, და დააფუძნეს სახალხო მმართველობა. ჯერ ისინი ემორჩილებოდნენ თვით ანგლიას. შემდეგ შეთვრებულ საუკუნეში, რადგანაც ანგლიელებმა იმთა შევიწროება დაუწყეს, ანგლიელები გაუდგნენ იმას, აუტუტეს ბრძოლა და შრანციის შემწეობით სრულდებით განთავისუფლდნენ.

1787 წ. ამერიკელებმა შეადგინეს კონსტიტუცია; ჩრდილოეთის ნაწილი შტატებისა თავისუფალი იყო მონაობისაგან და სამხრეთის ნაწილი კი არა. ეს მონები არიან ნეგრები, რომელიც აფრიკადამ გამოჰყვანა პლანტაციების ანუ მამულების შესამუშავებლათ. ჩრდილოეთის და სამხრეთის შტატებს შორის მონაობაზედ განხეთქილება კარგა ხანია არსებობს. ჩრდილოელები პირველათ ცდილობდნენ საზღვარი დაედოთ მონაობისთვის იმ აზრით, რომ ახალ შტატებში ის აღარ გავრცელებულიყო, რადგანაც შიშობდნენ, რომ სამხრეთელებს კონგრესში ძალა ხელში არ ჩაეგდოთ და არ გავრცელებინათ ეს მავნებელი სენი მთელს შვედეთის

არსებობდეს შვედეთის შტატების სახელმწიფო და ყველა ადგილებში, რომელიც შტატებს ექვემდებარებოდა. II. კონგრესს უფლება მიეცემა სჯულის გამოცემისა, რომელიც ეს წესდება აღსრულებაში უნდა მოიყვანოს. „რადგანაც აფრიკალების დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ეს წინადადებული ცვლილება კონსტიტუციისა დამტკიცებულია 27 შტატის სჯულის-დამდების კრებისგან; რადგანაც საზოგადო რიცხვი კავშირის შტატებისა არის 36 და რადგანაც შემოხსენებული რიცხვი შტატებისა, რომელთაც ეს ცვლილება მიიღეს, შეადგენს სამს მეოთხედს შვედეთის შტატებისას, —

„ამისთვის მე, მილიამ სუარტი, სახელმწიფო სეკრეტარი, თანახმათ კონგრესის აქტისა, რომელიც დამტკიცდა 20 აპრილს 1818 წელს და შეეხება სჯულის გამოცემას შვედეთის შტატებში, გამოცხადებ, რომ შემოხსენებული ცვლილება დღის იქით თავის კანონიერს ძალას მიიღებს, როგორც კონსტიტუციის ნაწილი.

„ამას ვამტკიცებ ჩემის ხელ-მოწერით და შტატებში. სამხრეთი აზრზედ უარს ამბობდა. 1860 წ. როდესაც ლინკოლნი პრეზიდენტათ ამოირჩიეს, სამონაობა შტატები გადგნენ და დაიწყო საზინელი ბრძოლა; მაგრამ 1865 წელში წაგეს საქმე და ისევ შევიდნენ მორჩილებაში. კონგრესმა მონაობა გააუქმა. 1787 წლის კონსტიტუციის ძალით სჯულის-დამდები უფლება ეკუთვნის კონგრესს, რომელიც მიიღებს მონაწილეობას მთელი ხალხი თავისის წარმომადგენელებით. კონგრესსი შემიღარია სენატისაგან და დაუშუაბთ პლანტაციისაგან. აღმინისტრაციის ანუ მმართველ კუთვნიის პრეზიდენტს, რომელსაც ამოირჩევენ ოთხ წელში ერთხელ. პრეზიდენტებში განიშქვენ მანინგ-ტონი, ჯეფერსონი, მონროე და ლინკოლნი.

კონგრესის მოვალეობა არის ომის გამოცხადება, მშვიდობისაგან მოხდენა, ტრაქტატით შეკრა რომელსავე გამოცემა, დანაშაურობის და ღალატობის დასჯა. კონგრესსი მმართველ ტერიტორიებს ანუ ადგილებს, რომელიც ჯერ შტატათ არ არიან დაწესებულნი; თვითოეული იმთაგანი შტატათ მანინ დაიდება, როდესაც რიცხვი იმის მცხოვრებთა 95,000 მდე ავა. ახალ-დაწესებულის შტატს უფლება აქვს თავისთვის კონსტიტუცია შეადგინოს, მაგრამ ამაზედ კონგრესსი თანახმა უნდა იყოს და თუ არ რესპუბლიკურს ფორმას, სხვას ვერ მიითვისებს.

და ჩანთქმა უნახაით, არამედ თვით ვრცელის ქვეყნების ამოწვევისა და ჩაწვევის მოწამენიც ყოფილან. საუკეთესოს ამის მაგალითს წარმოგიდგინებ ნეპოლის მახლობლი იტალიაში, სერაპისის ტაძრის ნანგრევი. ტაძარში სამი სვეტი დგას. თითო სვეტს თითქმის ექვს-ექვსი საყენი სიმაღლე აქვს; ეს სვეტები ზღვის პირიდან ორ საყენს სიმაღლეზედ დახვრებილები არიან. თითქო ლოკოკინები მიკროდეთ და იმთა დაეხვრებილათ. ზღვაში კლდეები ხშირათ არიან ლოკოკინებისაგან დახვრებილნი. იმ სვეტების ნახვრებიები ძალიან ემზავსებიან ზღვაში კლდეების ნახვრებიებს. უქვევლია კაცმა უნდა იფიქროს, რომ უწინ ეს სვეტები ყოფილან ღრმად წყალში ჩასულნი და ლოკოკინებს დაუხვრებია; აქედამ უნდა ვიფიქროთ, რომ უწინ ეს ადგილი ჯერ იმდენზედ დაწულა, რომ სვეტები ორ საყენს მდებარე ზღვაში ჩამალულან, შემდეგ მიწას ისევ ამოუწვია. სვეტები ახლა მშრალს მიწაზედ დგანან.

ზღვას არ შეეძლო მომატება, ამისთვის რომ მანინ ყოველ კლდეებზედ უნდა შემო-

სახელმწიფო ბეჭდის დასმით. მამოიცა ვაშინ-გტონში 18 დეკემბერს; შობიდან უფლისა ჩვენისა 1865 წ. ხოლო ამერიკის შვედეთის შტატების განთავისუფლების დღიდან — 90-ს.

3. შ. სუარტი. სახელმწიფო სეკრეტარი. ნეგრების მდგომარეობა. ომის გათავების შემდეგ სხვა და სხვა სამხრეთის შტატებში მორჩილება მოხდა პლანტატორებს და ნეგრებს შორის. ღაჭქმმართველი ვიცით, რომ პლანტატორები უწინდელზედ ეხლა უფრო ხშირათ შეეცვიან ხოლმე ნეგრებს კანტრაქტით. ამასთან კანტრაქტის პირობებიც ისეთია, რომ ორივეს მხრისათვის სასარგებლოა. იმ მაგალითმა, რომელიც უჩვენებს ზოგიერთმა სამხრეთის შტატების სარდლებმა, კიდევაც აღმოაჩინა კეთილი ნაყოფი. სეპარატისტების ჯარში ნაყოფი დენერალი პილოპი შეუდგა ტენესისის და არკანზასის შტატებში მრავლის პლანტაციების შემუშავებას. იმან იქირავეა მუშა-კაცები ამ პლანტაციის შესამუშავებლათ. ეს მუშები იყვნენ როგორც თეთრი კაცები ისე ნეგრები. ამ ნეგრებს დენერალმა პილოპმა დაუნიშნა იმდენი სამუშაო ფასი, რამდენიც თეთრს კაცებს. პილოპი იწერებოდა განთავისუფლებულის მოწების ბიუროში: მე არ მაქვს მიზნი უკმაყოფილო ვიყო ნეგრებზედ. მოხდება ხოლმე, რომ ნეგრები უარს ამბობენ მუშაობაზედ და არა სურთ მოკამაგირება, მაგრამ ამ შემთხვევაში, რო-

კონსტიტუცია შვედეთის შტატებში სრულს თავისუფლებას აძლევს ბეჭდვას, სიტუვას, სარწმუნოებას და სხ. — თითოეულს შტატს აქვს თავისი სენატი და დეპუტატთა პალატა და ის საკუთარის წესდებით მართავს თავის საქმეებს; იმას აქვს საკუთარი სჯული, აღმინისტრაცია და სამხჯავრო. პრეზიდენტის მაგიერ აქ არის გუბერნატორი.

1784 წელს რიცხვი შტატებისა იყო 13 და რიცხვი მცხოვრებთა თითქმის 4 მილიონი. ახლა არის 36 შტატი და მცხოვრებნი არიან თითქმის 32 მილ. იმ შტატების თეთრი მცხოვრებნი, სადაც მონაობა არ იყო, შეადგენენ თითქმის 19 მილიონს, მონაობის შტატების მცხოვრებნი კი 8 მილიონზედ მეტს. რიცხვი მონებისა ოთხი მილიონია.

სხნებელი ნიშნები გამოჩენილ იყო, მაგრამ ამ გვარი ნიშნები ამ ადგილის მეტად არსად არ იპოვება. 1822 წლიდან 1823 წლამდე ერთი ანგლიელი ქალი მისტრის ბრევემ თვითონ ყოფილა მოწამე, თუ მიწის ძვრის გამო ერთს ალაგს მეტზედ როგორ ამალეებულა თითქმის მთელი პერუს სახელმწიფოს დასავლეთის კერძო, ამერიკაში. ბუნებაში კაცის გონიერებას ბევრი რამ მიიტაცებს და კაცს მხოლოდ კარგი დაკვირვება უნდა, თორემ იქილამ ბევრს რასმეს საკვირველს ამბებს გამოიკვლევს. მაგალ. ბევრს სწავლულს კაცს სურდა შეეტყო, თუ როგორი სიტობა მიწის სიღრმეში. ამის შესატყობათ იმთა კარგი საშუალება მოუხმარნათ და ბოლოს ეს შეუტყვიათ, რომ თერთმეტ საყენს სიღრმეზედ ზამთარ და ზაფხულ თითქმის ყოველგან ერთ გვარი სიტობა არის, რაც უნდა ცივი ზამთარი იყოს და რაც უნდა ცხელი ზაფხული, მაინც ამ სიტობს არც მოაკლდება და არც მომატება. ამის მაგალითის თვით ქის წყალიც ნათლთ გვიჩვენ-

საკვირველი მოვლენა. სანტორინის კუნძულიდან (საბერძენთში) მოწერილი წიგნი გეაცნობებს, 160 წლის წინათ რომ ზღვაში პატარა კუნძული ნეკამენი გამოჩნდა, დიდის მიწის ძვრის შემდეგ ისევ ჩამალვას აპირებსო. 30 იანვარს ამ კუნძულზედ, რომელიც სანტორინიდან შეიღებულზედ (49 ვერსი) არის, მიწის ყრუ გრევიწევა ისმოდა და მეორესდღეს ამ ხმამ ისე მოიმატა, რომ ზარბაზნის სროლას მიემზავსა. სუნძულს გარემო ზღვა საშინლათ დღლადა, დულდა და ზედ ადიოდა თეთრი ბოლი, რომელსაც გოგირდის სუნი ჰქონდა. საღამოს თვალთა შენიშნეს, რომ მიწა ძირს იწვედა. პირველს თებერვალს მიწიდან აღმა ამოხეთქა და ორ საყენს სიმაღლეზედ სცემდა. ეს შესანიშნავი მოვლენა ერთი საათი მეტი გაგრძელდა. საბერძენთის მთავრობის კაცები განემზავნენ იმ კუნძულზედ და ნახეს, რომ ერთს მხარებზედ ეს კუნძული ღრმად გამსქდარი იქნა. უწინ ეს კერძო უნაყოფო იყო და ახ-

ლა კი ამ ადგილს ორი ტბა გამოჩნდა. ტბები თან და თან განიერდებიან. დაკვირვებით შეიტყეს, რომ ტბებში წყალი ოთხის საათის განმავლობაში ორ გოჯს სიმაღლეს მატულობს; ორის საათის განმავლობაში კი მიწა ნახევარს არწინზედ ძირს ჩაივდა. ამ კუნძულის მახლობლივ რომ ხომალდები იყვნენ ყველანი საღაურადამ აესხნენ და განშორდნენ. იქ რომ საბანაოვა სახლები იყვნენ აგებულინი, ძალიან წახდნენ და საცა არის კიდევ დანგრევიან. რადგანაც კუნძულის უეცრათ ზღვაში ჩანთქმისა ეშინიანთ, ამისთვის მცხოვრებლებისა გამოსაყვანათ იქ ცეცხლის გემი არის გაგზავნილი. დედა-მიწის ზურგზედ ამ გვარი შემთხვევა არ არის იშვიათი. რაკი ევროპელებმა იმისთანა ავეჯი მოიგონეს, რომ ოკეანეში გზა აღარ ებნევათ, იმას შემდეგ მრავალნი სწავლულნი განეგზავნებოდნენ ხომალდებით უცხო ქვეყნებში მეცნიერების შესაძენათ. იმას შემდეგ არც იმისთანა სწავლული კაცები არიან ძვირნი, რომლებსაც არათუ განკერძობულის კუნძულის ზღვაში ამოსვლა

გორკ საქმე აღმოჩინა, პლანტატორები ისეთს პირობებს ითხოვენ, რომლებს მიღება ძნელია. ახლანდელს ბაზის სიძვირეში ყოველს ნეგრს შეუძლიან საზოგადოთ 500 დოლარის (*) ბაზა მოიყვანოს წელიწადში. ამის გამო ნეგრს-მუშას ნება აქვს მოითხოვოს პლანტატორისაგან, საქმისა და სასმლის გარდა, ჯამაგირი თვეში 10—12 დოლარამდე. პლანტატორები ამაზედ თითქმის თანახმანი არიან, რადგანაც იმათ მიხედვით დადი მოგება რჩებათ. მაშასადამე, ვასაკირველი არ უნდა იყოს, რომ ნეგრები უარს არიან მუშაობაზედ მაშინ, როდესაც იმათ პირდებიან სამუშაო ჯამაგირს თვეში 4—5 დოლარს. ასე მოხდა, მაგალითებრ, ტენესაში, ჩრდილოეთის და სამხრეთის ქაროლინაში. ნეგრებმა იციან, რომ პლანტატორებისთვის მუშა-კაცები საჭირონი არიან. ნეგრების ანგარიშით პლანტატორები უიმართოთ ვერას გარეგებენ, დღეს თუ ხვალ ისევე იმართებენ, და დათანხმდებიან იმ პირობებს, რომელთაც ნეგრები მოითხოვენ. ალაბამაში ჩივიან, რომ იმ პლანტატორებს, რომელნიც წარსულს წელს ცუდად ეპყრობოდნენ ნეგრებს, ვეღარ უშოვნიათ ისინი, რაც უნდა დიდი ფასი შეადლონო, და ამის გამო თავიანთ პლანტაციებს (ანუ მამულს) თურმე ჰყიდნან.

მართალიც არის, რომ უკანასკნელის ბრძოლის გათავების შემდეგ ნეგრებს ძალიან სასტიკად ეპყრობოდნენ, თუმცა ადგილადგილ პლანტატორების და ნეგრების შუა მორიგებაც მოხდა.

მან თავისუფლებულის მონების (ნეგრების) ბიურო.

ქონგრესის აქტით, რომელიც გამოიცა 3 მარტს 1865 წ., სამხრეთის შტატებში დაწესდა, ღენერალის ბოვარდის ზედა-მხედველობის ქვეშ, ბიურო განთავისუფლებულის მონებისა. ეს ბიურო მოვალე იყო, რომ გამოხსნილის მონებისთვის ეძლია მიწა, ეხმარა მფარველობა იმათზედ იმათ შევიწროებაში, ეზრუნა იმათ განათლებისათვის, შეეწყობა ეძლია ღარიბთათვის, შეეჭირებულთათვის და სხვ. ამ ბიურომ დახარჯა აქამომდე 113 მილიონი დოლარი. მაგრამ იმისი მზრუნველობის საგანი იყო იმ გვარი, რომ სრულიად ღირდა ამ ფასად. ბიუროს უნდა აესრულებინა თავის მოვალეობა ერთის წლის განმავლობაში ამერიკის ომის გათავების შემდეგ, ბოლოს მოახლოვდა ვადა, როდესაც ბიუროს თავისი მოქმედება უნდა მოესპო. მაგრამ რადიკალის პარტიის მომხრეთ ნახეს, რომ ამ ბიუროს ძალით ჩრდილოეთის შტატებს ექნებოდათ დიდი გავლენა სამხრეთის შტატებზედ და შეეძ-

(*) დოლარი 1 მანეთი და 3/4 კაპეიკი არის.

ნებს ხოლმე. თუ კარმად არის ამოთხრილი იმისი წყალი პანანაქი სიციხეში ძალიან ცივი გვეჩენება ხოლმე და ძალიან ცივს ზამთარში თბილი. ეს ამიტომ რომ ამ წყლის სითბოს არც ემატება და არც აკლდება.

მეროპის სახელმწიფოებში, სადაც მადნებსა სთხრიან ალაგ-ალაგ მიწაში დიდ სიღრმეზედ ჩასულან. მათის კარგის იარაღით, რომელსაც თერმოპეტრს ეძახიან. ამ ადგილებში შეიტყეს, რომ ყოველს 18 საჯ-წუღდ იმას ქვევით, სადაც მარადის ერთი და იგივე სითბოა, თითო გრადუსი ანუ ზომა სითბო ემატება, ასე რომ ამ გვარის გამაანგარიშებით 74ს ვერს მიწის სიღრმეში იმისთანა სიციხე უნდა იდგეს, რომ ყოველი ქვა და რკინეულობა გამდნარი უნდა იყვეს. ალაგ-ალაგ მიწაში თითქმის ამ გალხვად გულამდის ჩასდევს ნაპრალები, რომელშია ჩაეა ხოლმე წყალი და ჩატანს ამ გამდნარს გულამდის. აქ წყალი უეცრად სიციხის გამო ორთქლათ იქცევა და დაიჭერს დიდს ალაგს. როცა ეს ორთქლი ძალიან ბევრი შეგროვდება მიწის სიღრმეში, მაშინ ის იმ ვიწრო სივრცეში ვერ მოთავსდება ხოლმე,

ლებოდათ იმათი დაკავება თავიანთ დამორჩილების ქვეშ. ამ განზრახვით ამის წინააღმდეგ სენატში და წარმომადგენელთ პალატაში ახალი ბილი ბიუროზედ, რომელიც სენატმა და პალატამ მოიწონა. ამ ბილის აზრი იყო, რომ არამც თუ პირველ ვადის შემდეგაც ბიუროს კიდევ უნდა ემოქმედნა, არამედ უფლებაც მეტი უნდა მისცემოდა. ამ განახლებულს ბიუროს განმგებლობაში უნდა ყოფილ იყო საქმეები განთავისუფლებულის მონებისათვის შტატების კავშირის სივრცეზედ. ბიუროს პრეზიდენტს უნდა მისცემოდა ძალა, რომ იმას თემებთ დაეყო ის ადგილები, სადა იმყოფებოდნენ განთავისუფლებული მონები და ეს თემები ჩაებარებინა აფიცრებისთვის, როგორათაც კამისსრებისთვის. ამ კამისსრებს უნდა ჰქონიყო უფლება, რომ თემების ნაწილების განსაგებათ დაენიშნათ ჯარიდან აგენტები. სამხედრო მინისტრის თანამდებ იქნებოდა, რომ ბილის ძალით, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, ეძლია შეეწყენა განთავისუფლებულის მონებისათვის ტან-საცმელით, ხორაგით, წამლებით, საგზაო ფულით და სხ. ამის გარდა განზრახვა იყო, რომ განთავისუფლებულის მონებისთვის დაერიგებინათ 30 მილიონამდე აკრი შტატებში — შლორიდში, არკანზასში და მისისიპში, რომელიც ნაწილებათ უნდა დაეყოფილებინათ; თითოეულს ნაწილს შეადგენდა ორმოცი აკრი. ამ მიწის ნაწილების მფლობელნი მოვალენი იქნებოდნენ, რომ ყოველს წელს ეძლიათ დაწესებული ხარჯი ამ მიწის ნაწილების სარგებლობისაგან. ამის გარდა, მეროპის რეზოლუციით უნდა დაწესებულიყო 1000 დოლარი ჯარიმა იმ კაცზედ, რომელიც კი გაჰმდებოდა უარის ყოფას ნეგრების უფლებებზედ, თანასწორ თეთრებთან, ან ვინც ნეგრებს იმ სასჯულს მიაცენებდა, რომლისაგანაც თეთრები არიან განთავისუფლებულნი.

შოველივე საქმე, რომელიც ამ საგანს შეეხებოდა, უნდა ყოფილიყო ბიუროს ჩინოვნიკების ხელში. როგორც ჩვენ ვიცით, ბილი მიიღო სენატში 37 ხმამ წინააღმდეგ 10-სა, წარმომადგენელთ პალატაში კი — 137 ხმამ წინააღმდეგ 33. მაგრამ პრეზიდენტი ჯონსონი არ დასთანხმდა ამ ბილს წინააღმდეგ რადიკალის პარტიისა.

მოხსენება უ. შურციისა სამხრეთის შტატების მდგომარეობაზედ.

მართს ამერიკულს გავითში სწერენ: ჩვენ მოგვივიდა სამხრეთის შტატებზედ ამბავი უ. შურციისგან, რომელიც ამერიკის მმართველობისაგან იყო გაგზავნილი სამხრეთის შტატების მდგომარეობის შესატყობათ და დაწერილებით ცნობების შესაკრებათ ამ მხარე-

ცდილობს სადმე ამოხეტიქოს მიწა და თავისთან გამდნარი მიწის გულიც ამოაქციოს. ჯერ ამოხეტიქამდის ორთქლი მიწის ქერქს შიგნიდან მძლვრათ აწვება და ალაგ-ალაგ დედა-მიწის ზურგს შეანძრევს ხოლმე. აი ამ შემთხვევაში გრგვინავს მიწა და იტყვიან მიწა შეინძრავო. ზოგიერთი მთის წვერები არიან ჩაღრმავებულები, საიდანაც დრო და დროს განმავლობაში ამოქუხს გამდნარი მიწის გული. მორი ამისთანა შესანიშნავი მთა არის მეროპაში: ერთსა ქვიან მესუვიეა, რომელმაც რომაელების დროს ასეთის ძალით ამოიღინა, რომ გამდნარმა მიწის ნაკადულმა ორი ქალაქი წერკულანუში და პომპეი, თავის მცხოვრებლებიანათ მოსწყვა-მოდ გა. სხვათა შორის აქ ერთი ჩინებული რომაელი სწავლული კაცი დაიღუპა. იმას ერქვა პლინიოს უფროსი. მეროპე ამისთანა მთის წვერი არის სიცილიის კუნძულზედ და ეწოდება მტნა.

შესანიშნავია, თუ ნადულის ამოსროლასა და მიწის მძრევას შუა კავშირი არის. ამისთვის მოკლეთ განვიხილავთ, 10 წლის განმავლობაში, ესე იგი 1750 წლიდან

ზედ. — თავის მოხსენებაში უ. შურცი ამბობს, რომ სამხრეთის მცხოვრებლებს არ უყვართ ჩრდილოელები. აი შურციის სიტყვები:

„თუ როგორმე ჩრდილოეთის მცხოვრებს შეემთხვევა სამხრეთის საზოგადოებაში ყოფნა, ის მაშინვე შენიშნავს, რომ ამ საზოგადოებას ის სძულს და ეზიზღება. ძველის მომხრე პირების მდგომარეობა აქ არ არის საიმედო. თუ ვინცობა სამხრეთიდან ჩრდილოეთის ჯარი გავიდა, მაშინ, მეტი გზა აღარ არის, ისინი ამ მხარედაც უნდა გაიქცნენ.“

„არა ვნებდავ არა ვითარს სასაშიშრო მიზეზს ბრძოლის განახლებისას. ახლა სამხრეთის ხალხს მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: იმას უნდა რომ თავისი სენატორები და წარმომადგენლები ჰყვანდეს კონგრესსში.“

„მონების განთავისუფლება სამხრეთის შტატებში იმდენათ არის მიღებული, რამდენათაც ეს მოწაობა გაუქმებულია.“

„თუმცა განთავისუფლებულს ნეგრს იქ საკუთრებათ აღარ რაცხვენ, მაგრამ საზოგადოების აზრით ის მაინც ისევე მონა არის. ამას გემტკიცებს ყოველივე იქაური სჯულდება ნეგრებს ს შესახებ.“

დასასრულ უ. შურცი თავის მოხსენებაში კონგრესს ურჩევს, რომ სამხრეთის შტატების მართვა ჩრდილოეთის მთავრობის ხელში დარჩეს, რადგანაც საჭიროა შევის ტომის ინტერესების დაცვა. შურცი ამასაც ურჩევს კონგრესს, რომ თვით ნეგრებს პოლიტიკური უფლება მიენიქოს.

ამ უფლების ძალით იმათ შეეძლებათ თავისი თავი თვითონვე დაიცვან ძველის მებატონების დაზარებისაგან. შურციის აზრი არის, რომ კონგრესი დიდს სიფთხილით და კეთილგონიერად მოიქცეს სამხრეთის შტატების განთავისუფლებაში იმ კონტრაქტად, რომელიც იმათზედ მმართველობას აქვს. ის მოითხოვს აგრეთვე, რომ დაწესდეს ერთი ანუ რამდენიმე გამომძიებელი კომიტეტი, რომელმაც უნდა აცნობოს კონგრესს სამხრეთის შტატების მდგომარეობა, აქაურის ხალხის აზრი და წადილი, მანამდის სამხრეთის შტატების წარმომადგენლებს ნება მიეცემოდეთ კონგრესში შესვლისა.“

— ჩრდილოეთის ამირეკის სამხრეთის შტატებში დიდი სიღარიბე არის. მილიონზედ მომატებული კაცი როგორც თეთრისა, აგრეთვე შავის ტომისა, სცხოვრებს მხოლოდ საზოგადო მოწყალეობით. მარტა ბუროს მზრუნველობას ქვეშ იმყოფება 200,000 კაცი. ალაბამაში, გუბერნატორის ცნობით, არის 130,000 ანუ კაცი, რომელთაც არც საქმელი აქვთ და არც ტან-საცმელი. არკანზასში ეს რიცხვი უდრის 200,000; მაშა სადამე, თითქმის ყველა მცხოვრებლები ამ შტატისა-

ყოფილან სიღარიბეში და შეჭირვებაში. მირგინაში არის 80,000 კაცი, რომლებსაც შტატებშიაც სწორეთ ასე.

ტ ი ლ ე ბ რ ა მ მ მ მ ი,

პეტერბურგიდამ მიღებული.

პილი, 18 (30) მარტს. პილის გავითში დღეს სწერენო, ვითომც ბერლინიდამ ბრძანება მიეღოთ, რომ რაც კი შეიძლებოდეს მალე მოამზადონ საომრათ პრუსიის სამხედრო გემები.

ბუხარესტი, 18 (30) მარტს. დროებითმა მმართველობამ დაითხოვა რუმინის პალატები, ვითომც იმ მიზეზით, რომ მთავრის ძუხისაგან იყენენ ამორჩეულნი. ორმოცის დღის შემდეგ უნდა შეიკრიბოს ახალი პალატები.

ბრესლაველი, 19 (13) მარტს. სიღვინის პროვინციის ობერ-პრეზიდენტის მოწერილობით აქაურმა პოლიციის პრეზიდენტმა მოსთხოვა გავითების რედაქციებს, რომ არაფერი არ გამოაცხადონ რა სამხედრო მზადებაზედ.

ბერლინი, 19 (31) მარტს. დღეს სანაციონალო გავითში დაბეჭდილია ტექსტი პრუსიის დებეშისა, მიწერილი 12 (24) მარტს ბერლინის კავშირის სახელმწიფოებთან. დებეშმა ამტკიცებს, ვითომც ჯერ პრუსიას მიზეზი არ მიეცა, აესტრამ კი ბრძანება გასცა, რომ პრუსიის საზღვარზედ სამუქარო სამხედრო მზადება მოახდინონ; პრუსია იძულებულია თვითონაც აღიჭურვოს. შემდეგ დებეშმა ამბოვს: პრუსიამ თავის დასაცველათ უნდა მოიპოვოს გარანტია, რომელსაც ამაოდ ეძებდა აესტრასთან კავშირში. ბერლინილი ხასიათი პრუსიისა და გერმანიული მიმართულება იმის ხელმწიფეებისა იძულებენ, რომ იმან ეს გარანტია თვით ბერლინაში მოძებნოს. მაგრამ ბერლინის კავშირის წესდება არ არის საქმარო სამოქმედო პოლიტიკისათვის, თუმცა ზოგიერთნი იმის მართებლობანი არიან ამის თანამგრძობელნი. ამისთვისაც პრუსიამ უნდა მოითხოვოს კავშირის რეფორმა (ცვლილება), რომელიც უნდა შეეფერებოდეს ნამდვილს საქმის მდგომარეობას. პრუსიას ამისი საბუთი

მთა კაცს არ ენახა, უცბათ ამოიბერა მიწა, გაცეთა მთა, რომლის წვერიც ამოსკდა და გადმოდინდა მიწის ნადული. ამ მთას ეწოდა იორულა. 1760 წ., დეკემბერში მესუვიამაც საშინლათ ამოიქუხა. რაკი მიწის სიღრმე განთავისუფლდა მონაგრავს ომხივარისგან, ისე რამდენსამე ხნის განმავლობაშიაც მიწის ზურგი ნძრევისგან დამშვიდდა. ამის შემდეგ მკითხველიც დამეთანხმება, რომ უეცველია ეს ჩვენი ძავეკისის მთები და გორები იორულას მთისავეთ ამობერილან; არც ის გაუკვირდება, თუ კუნძული ნეაკამენი რათ იღუპება ზღვაში, ამიტომ რომ იმის მაგიერ უეცველად სადმე ან ზღვაში და ან ხმელეთათ მიწა უნდა ამოიბერებოდეს. არც ის გაუკვირდება თუ სერაპისის სვეტები პირველათ ზღვაში რათ ჩასულან და მერმეთ ისევე რათ ამოსულან. ამ გვარი ცვლილებანი დედა-მიწის ზურგზედ სულ გაღხეალის მიწის გულის ბრალია და იქ შენაგროვების ორთქლისა.

უფრო ამისთვისა აქვს, რომ იმისი გეოგრაფიული მდებარეობა და იმისი ინტერესები ერთი და იგივეა ბერმანის ინტერესებთან და თვით ბერმანის ხვედრი პრუსიის ხვედრზედ არის დამოკიდებული.

დასასრულ ეს დებემა პირველის მინისტრისა, გრაფის ბისმარკისა პასუხს მოითხოვს. შეიძლება რომ პრუსიას იმედი ჰქონდესო შემწობაზედ, თუ ეინცილობა აესტრია იმას დაეცა ან თუ თვით პრუსია იძულებულ იქნა რომ დაიწყოს პირდაპირის მუქარის გამო.

მენა, 21 მარტს (2-ს აპრილს) აესტრიის გაზეთში სწერენ: 19 (31) მარტს აესტრიის ელჩმა გრაფმა ქაროლიმ წარუდგინა ბერლინში გრაფ ბისმარკს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ აესტრიის იმპერატორის მტკიცე განზრახვა ის არის, რომ იმას არას გზით არა სურსო ბერმანის კავშირის მეთერთმეტე მუხლის დადებულობის წინააღმდეგ მოქმედება. ამის გარდა იმედი უნდა გექონდესო, რომ პრუსიის კაბინეტიც გადაიცილებს თავიდანაო მშვიდობიანობის დარღვევის აზრს და ბრალეულობას.

მენა, 22 მარტს (3 აპრილს). აფიციალურმა ვენის გაზეთმა დღეს საქვეყნოდ გამოაცხადა გრაფის ქაროლის ნოტა გრაფ ბისმარკთან გაგზავნილი 19 (31) მარტს. ამ ნოტაში არის ნათქვამი: პრუსიის მმართველობა ამტკიცებდა, ვითომც შესაძლებელი იყოს, რომ აესტრია პრუსიის სამეფოს უქადიდეს დაცემას. იმპერატორის მმართველობა წინააღმდეგია ამნაირის იმის გამტყუნებისა. იმპერატორის განზრახვა მხოლოდ ის არის, რომ დაიფაროს თავი პრუსიის ბოროტ-განზრახვისაგან. იმპერატორმა მტკიცედ განზრახა, რომ არ იმოქმედოს კავშირის დადებულების მეთერთმეტე მუხლის წინააღმდეგ. იმედი გვაქვს, რომ პრუსიის კაბინეტიც გამოაცხადებს, რომ არც იმასა სურს მშვიდობიანობის დარღვევა. ამითი ის აიცილებს თავიდან ყველა ბრალეულობას და მშვიდობიანობა იქნება დატული ბერმანიაში.

შლორენცია, 22 მარტს (3 აპრილს). დღეს სწერენ გაზეთს Nazione-ში, რომ იტალიის ჯარის გამოჩენილი ღენერლები მოიწვიესო შლორენციაში 25 მარტს (6 აპრილს). ამტკიცებენ, რომ მოხდება მთელის იტალიის ფლოტის შეკრება ან პნკონის ახლო ან კიდევ ბრინდიზისთან. ვენეციადამ ისმის, ვითომც აესტრიელები საომრათ ემზადებიან.

მენა, 23 მარტს (4 აპრილს). სხვა ქვეყნებში ცხენების გაყვანა აკრძალული აქვთ ყველა საზღვარზედ მყოფს აესტრიის დამოყრის უწყებებს.

საღამოს. აფიციალური გაზეთი Wiener Abendpost-ი ამტკიცებს, ბერლინის გაზეთების ცნობის წინააღმდეგ, რომ იმას შეუძლიან დაქვემდებარებით დაგვარწმუნოს ჩვენ, ვითომც აესტრიას სრულებით არ გაუტიაო ბრძანება ჯარში შესვლაზედ ხელმეორეთ წინათ დათხოვნის სამხედრო ჩინებისა.

შლორენცია, 23 მარტს (4 აპრილს). იქაური გაზეთები ამტყუნებენ იმ ხმას, ვითომც იტალიის ჯარი შეიარაღებას აპირებდეს. ეს გაზეთები ამტკიცებენ, რომ არც ბოლონიაში

და არც სხვა ადგილებში არ მომხდარა ჯარის შეკრება. ეს კი მოხდა, რომ პოლკები აქაიქ გადაიყვანესო.

პარიკი, 24 მარტს (5 აპრილს). დღეს „მონიტორში“ სწერენ: შრანციის ჯარი გამოვა მენიკიდან სამ ნაწილათ. პირველი ნაწილი გამოვა 1866 წ. ნოემბერში, მეორე—1867 წ. მარტში, მესამე—ნოემბერში 1867 წ. შრანციის და მენიკის შუა მოხდა მორიგება. მორიგების პირობა ის იყო, რომ შრანციის ქვეშევრდამლების ინტერესი მტკიცედ უნდა დაცული იქნას.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 6 აპრილს.

ისაკის სობოროში და საზაფხულო ბაღის შესავალთან, სადაც ხელმწიფე იმპერატორი სასწაულმა გამოიხსნა, 5 აპრილს, ნაშუადღევს პირველს საათს საყოველთაო პარაკლისი იყო. ხელმწიფემ მიიღო მილოცვა თავდაზნაურების და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელებისაგან. მთებებში, კლუბებში, ქუჩებზედ და ყოველგან მხიარულება იყო მისის დიდებულების ძვირფასის სიცოცხლის დაცვისათვის. ღმნაშავეზედ ჯერ ნამდვილათ არა იციან რა. პირველს გამოკითხვაში იმან აჩვენა: იმისი სახელი და გვარი არის ალექსი პეტროვი; 24-ს წლისაა; ერთის სამხრეთის გუბერნიების გლეხებთაგანია; არ უჩვენებია კი სახელდობრ რომლის გუბერნიისაა; ხუთის წლის წინათ შეუსრულებია კურსი გიმნაზიაში; იმის შემდეგ არა ჰქონია არც ერთი რამ არჩეული საქმე, არც არჩეული ადგილსადგამი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმისი ჩვენება სრული დასაჯერებელი არ არის.

3-ს აპრილს ისასაში, (მოლდავიის სატახტო ქალაქში), წირვის შემდეგ, ხალხის ყრილობა გაჰყვა მიტროპოლიტს სასახლეში, სადაც უნდა გამოეცხადებინა თავისი აზრი რუმინის სამთავროების კავშირის წინააღმდეგ, ესე იგი, მოეთხოვნა მოლდავიის მოშორება მალახისაგან. ცხენოსანმა ჯარმა ხალხი ვერ დაფანტა; შემდეგ ქვეითმა ჯარმა სროლა დაუწყო უთარაო ხალხს, რომელიც მაშინვე დაშალა. მიტროპოლიტი დაჭრილია. ღრობითის მმართველობისაგან გაგზავნილმა კაცმა აცნობა უცხო-ქვეყნების კონსულებს, რომ მშვიდობიანობა ისევ აღადგინეს. ღრობითი მმართველობა ცდილობს, რომ ამ აღრეულობის ბრალი რუსებს დასდოს. მისაც კი რუსეთის ერთგულებას სწამობენ, ყველას იჭერენ უბრალო ჩვენებით.

ტფილისის დოლი 10 აპრილს.

1846 წელს დოლისთვის ტფილისში კამისა დაწესდა. ამ კამისიის განზრახვა ის იყო, რომ ადგილობრივის ცხენების ჯინში გაკეთებულიყო და მიეღო ის თვისება, რომელიც საჭიროდ შერაცხეს. 1860 წელს ღენერალ-ფელდმარშალმა კნაზმა ბარათინსკიმ დოლის შესახებ ახალი დადებულება გამოსცა. ამ დადებულების ძალით ახლა ყოველს წელიწადს დაინიშნება ხოლომე დოლი და მოხდება ხოლომე ცხენების მუხლში გაშინჯვა არამც თუ მარტო ტფილისში, არამედ ბაქოში, თიმირ-ხან-შურაში, სტავროპოლში და მლადიკავკაში. ამ დოლის აზრი, როგორც

წინეთ ვთქვით, ძაცასიის ცხენის ჯინში გაშინჯვა უმჯობესობაა.

